

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

პაატა კუნჭულია

## ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი კომერციულ ბანკში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (Ph.d  
in Business Administration) წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: გონა თუთბერიძე  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

თბილისი 2014

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების და საბანკო საქმის კათედრაზე

**მეცნიერ-ხელმძღვანელი:** გოჩა თუთბერიძე  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**შემფასებლები:**

1. გიორგი ცაავა
2. ზაირა დუდუშაური

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის 21 იანვარს

მისამართი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2; თსუ, მაღლივი კორპუსი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ასისტენტ-პროფესორი

/მ. ლობჯანიძე/

## შესავალი

**საკვლევი თემის აქტუალობა.** საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბება მოიცავს დაახლოებით ოცწლიან პერიოდს და ათვლის წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ 1991 წელი, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობას, სამწუხაროდ, მოჰყვა სამოქალაქო ომი და კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ჰიპერინფლაცია თანამდევი შედეგებით, რამაც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. საბანკო და საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურები ვერ ახერხებდნენ მათზე დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას. მათი ოპერაციები შემოიფარგლებოდა სახსრების მიღებითა და გაცემით. არ არსებობდა ფინანსურ ბაზრებზე სრულყოფილი ზედამხედველობის სისტემა. სუსტი იყო საკანონმდებლო ბაზა. ზემოაღნიშნული მოვლენების გამო საბანკო სისტემის რეორგანიზაცია 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ჯანსაღი საბანკო სისტემა ჩამოყალიბებას 1994 წლიდან იწყებს. იზრდება მოთხოვნები სადამფუძნებლო კაპიტალის მიმართ, ქართულ ბანკებს ეხსნებათ საკრედიტო ხაზები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან; მართალია, თანხები არ არის შთამბეჭდავი, მაგრამ ამ ხაზებს მოჰყვება ტექნიკური დახმარება, რაც საშუალებას აძლევს ბანკებს გააფართოვონ საქმიანობის არეალი მრავალი მიმართულებით: აქტივების, კაპიტალის, ანაბრებისა და სესხების მიმართულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ზომების შედეგად საბანკო სექტორში დაიწყო შერწყმა-გაერთიანების პროცესები. გარდა ამისა, პროდენციული ზედამხედველობა იწყებს ბაზელის პრინციპების გაზიარებას, ინერგება მოთხოვნები საბანკო კაპიტალის მიმართ, საბანკო საქმიანობის შეფასებისას გამოიყენება პირველადი, მეორადი, საზედამხედველო კაპიტალის და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოდულები, რამაც შეამცირა საბანკო რისკები და სისტემა გახდა უფრო ტრასპარენტული და, აქედან გამომდინარე, მიმზიდველი უცხოური კაპიტალისათვის.

ვარდების რევილუციის შემდეგ ძირეულად შეიცვალა საქართველოს ეკონომიკური ლანდშაფტი. ფინანსური სექტორის განვითარებამ გაამძაფრა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ინტერესი. განხორციელებულმა

ლიბერალურმა რეფორმებმა კი გამოიწვია უცხოური კაპიტალის დიდი ინტერესი, პირველ რიგში, ფინანსური სექტორის მიმართ.

ქართული საბანკო კაპიტალის 80 პროცენტზე მეტი დღეს უცხოელ ინვესტორებს ეკუთვნის, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ახალი პროდუქტებისა და საბანკო ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური დანერგვა, კონკურენტული გარემოს სრულყოფა, რეგულირების მექანიზმების დახვეწა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საბანკო სექტორი ჩამოყალიბდა, როგორც საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ფინანსურ სისტემაში გამოირჩევა უფრო მეტი სტაბილურობით, ტრანსპარენტულობით და მაღალი დინამიკით. შესაბამისად, საბანკო სექტორის, და განსაკუთრებით, კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კულტურის შესწავლა ფინანსური მენეჯმენტის მიმართულებით სულ უფრო აქტუალური ხდება, ვინაიდან ამ მიმართულებით კვლევებს გააჩნიათ არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** კომერციული ბანკების საქმიანობის კვლევას და ასეთი კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლას ეძღვნება მრავალი უცხოელი მეცნიერის ნაშრომები, რომელთა შორის აღსანიშნავია: ფ. მიშკინი, ჯ. სინკი, პ. როუზი, ჯ. მარშალი ა. ბერგერი, ჯ. ბრაიანი და სხვები. ასევე, კომერციული ბანკების კვლევის საკითხებს ეძღვნება ქართველი მეკვლევარების: ი. კოვზანაძის, რ. კაკულიას, გ. გამსახურდიას, მ. კაკულიას, ლ. ბახტაძის, ლ. ღუდუშაურის, ზ. ღუდუშაურის, მ. გოგოხიას, გ. ცაავას, ლ. ქოქიაურის, გ. თუთბერიძის, ვ. მოსიაშვილის, ხ. ბარბაქაძის და სხვათა შრომები. აღსანიშნავია, რომ ქართველი ავტორების მიერ სიღრმისეულად არის გამოკვლეული ფინანსური სისტემის ფუნქციონირებისა და კომერციული ბანკების საქმიანობის მრავალი სფერო და ასპექტი, მაგრამ ვინაიდან თვითონ საბანკო სისტემა შედარებით ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ არსებობს უამრავი საკითხი, რომლებიც მეკვლევარებისაგან მეტ ყურადღებას იმსახურებს. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის, ბანკების ეფექტიანობის ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების, საბანკო რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ასევე ისეთი საკითხები, როგორებიცაა საბანკო ანგარიშგების ხარისხის გამოკვლევა, კომერციული ბანკის ღირებულების შეფასების სხვადასხვა მეთოდების

შემუშავების პრობლემები, რომელიც მომავალში აუცილებლად გახდება ჩვენი და ასევე, ალბათ, სხვა მკვლევარების ყურადღების საგანი.

**სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზნები და ამოცანები.**

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებათა პრობლემების ყოვლისმომცველ კომპლექსურ ანალიზზე, რაც ძალიან რთული ამოცანაა, არამედ ჩვენი მიზნები სრულიად კონკრეტულია. კერძოდ:

პირველი. განვიხილოთ საბანკო სისტემის და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლები, ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები, ფინანსური სისტემის ფუნქციები და მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, ზოგადად, კომერციული ბანკების როლი ფინანსურ ინდუსტრიაში;

მეორე. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებათა გამოკვლევა, კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ანალიზისა და შეფასების ძირითადი ასპექტები, კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობის დახასიათება ანალიზისა და შეფასების ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების საშუალებით. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კომერციული ბანკის საბაზრო ღირებულება ძირითადად დამოკიდებულია მისი პორტფელის ხარისხზე და მოსალოდნელ ფულადი ნაკადების სიდიდეზე. სწორედ ამიტომ ინვესტორების ყურადღება, ძირითადად, მიმართულია ასეთი ფულადი ნაკადების სიდიდის, ვადიანობისა და რისკის ხარისხისადმი. ანალიზი ეყრდნობა კონკრეტული ბანკების საქმიანობის შეფასებას როგორც ხელსაყრელ, ასევე არახელსაყრელ ეკონომიკურ გარემოში.

მესამე. ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის შედარებითი ანალიზი ძირითადი საბანკო მაჩვენებლების (ბაზრის წილი, პორტფელის ხარისხი, დეპოზიტების, სესხების ზრდის ტემპი, საბანკო ტვირთი და ეფექტურობის მაჩვენებლები) შედარების საფუძველზე. 13 მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტების შედარებითი ანალიზი.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში ხდებოდა შემდეგი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა:

- საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების დახასიათება ისტორიზმის პრინციპიდან გამომდინარე;
- კომერციული ბანკების ღირებულებების შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს ბანკის აქტივებისა და, პირველ რიგში, გაცემული სესხების ხარისხის, დეპოზიტების მოზიდვის უნარის, მოზიდული დეპოზიტების მოცულობისა და სტრუქტურის, ასევე ბანკის კაპიტალის შემადგენლობის კვლევას;
- კომერციული ბანკების მენეჯმენტის ეფექტიანობის ანალიზი ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელების გამოყენებით. მეტი სიზუსტისა და ტენდენციების თვალსაჩინოდ გამოკვეთის მიზნით განხორციელდა ბანკების დაყოფა კატეგორიებად: 5 მსხვილი, 5 საშუალო და ყველა ბანკი. ასეთი დანაწილება ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ცალკეული ბანკები შეიძლება დაჯგუფდეს “ეკვივალენტური შემოსავლის” პრინციპიდან გამომდინარე. აქ იგულისხმება ის, რომ თანაზომადი ბანკების, ანუ ერთი კლასში შემავალი ბანკების, მოსალოდნელი შემოსავლიანობა ხასიათდება ალბათობის მსგავსი განაწილებით<sup>1</sup>.
- კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის ამაღლებისა და საბანკო სისტემის რეგულირების სრულყოფისათვის.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები კომერციულ ბანკში. კვლევის ობიექტია საქართველოს საბანკო სისტემა. კვლევამ ნაწილობრივ მოიცვა ბერძნული ბანკების ბაზარიც, ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი, ასევე საბანკო რეგულირების ცალკეული საკითხები საქართველოსა და საბერძნეთში.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი.** კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური დებულებები, კლასიკური და თანამედროვე ფინანსების თეორიები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები ფინანსური მენეჯმენტის, კორპორაციის ფინანსების თეორიის, ინვესტიციებისა და ფინანსური რისკების საკითხებთან

<sup>1</sup> იხ. Modigliani F. and Miller M.H The cost of capital, corporation, finance and the theory of investment. The American Economic Review, v. 48 (1958), pp. 261-297.

დაკავშირებით, ოფიციალური დოკუმენტები, საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, კანონქვემდებარე აქტები, ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები, ბრძანებები, ასევე, სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნესსტრუქტურების მასალები აღნიშნულ სფეროში. ფაქტობრივი მასალის ანალიზის პროცესში კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან ერთად გამოყენებულია: სისტემური ანალიზის, ანალოგიების, პროგნოზირების, სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგისა და სხვა მეთოდები.

## **ნაშრომის მეცნიერული სიახლე.**

კვლევის მეცნიერული სიახლეებია:

1. ქართული საბანკო სექტორის განვითარების დინამიკის დახასიათება ისეთი მაკრომაჩვენებლების საშუალებით, როგორებიცაა: მთლიანი დეპოზიტების შეფარდება ქვეყნის მოსახლეობასთან, ანუ ერთ სულ მოსახლეზე დეპოზიტების წილი, საკრედიტო ინსტიტუტების ფილიალების, სერვისცენტრებისა და მოსახლეობის თანაფარდობა, დეპოზიტებისა და კრედიტების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით; ამასთან, რაც აქამდე არ გაკეთებულა, ამ ასპექტში კვლევამ მოიცვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საკრედიტო კავშირები;
2. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ანალიზი “საბანკო ტვირთის” მაჩვენებლის საფუძველზე. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თვითონ ცნება “საბანკო ტვირთი” ქართულ საფინანსო და საბანკო კვლევებში თითქმის არ გვხვდება. ვფიქრობთ, რომ კომერციული ბანკის მენეჯმენტმა ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებთან ერთად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს “საბანკო ტვირთის” მაჩვენებელს;
3. სადისერტაციო კვლევაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შესწავლილ იქნა სხვადასხვა საბანკო ჯგუფის საქმიანობის მონაცემები 2005 და 2011 წლებში. სადაც მოყვანილია დაწვრილებითი ინფორმაცია სტანდარტულ გადახრაზე და ვარიაციის კოეფიციენტზე, რომელიც გამოიყენება რისკის განსაზღვრისათვის;
4. საქართველოსა და საბერძნეთის კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებით ანალიზი.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების გამოყენება შეიძლება როგორც საბანკო სექტორისთვის, ასევე სხვა საფინანსო ინსტიტუტებისათვის. სადისერტაციო ნაშრომში ასახული კვლევის შედეგების გამოყენება ასევე შეუძლიათ შესაბამისი ფაკულტეტის ბაკალავრებს, მაგისტრებს და დოქტორანტებს სპეციალური სალექციო კურსების სწავლების პროცესში.

ნაშრომში მოცემული პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი დასკვნა, წინადადება და რეკომენდაცია გარკვეულ დახმარებას გაუწევს ამ სფეროში ჩართულ ადამიანებს, კერძოდ, მეცნიერებსა და მკვლევარებს.

**კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია.** სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა 2013 წლის 1 ივლისს (ოქმი №8) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის სხდომაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ხასიათის ჟურნალებში:

- „Financial Management Characteristics of Georgian and Greek Bank“ – scientific-analytical journal New Economist. Tbilisi. №1. 2010 წ. ISSN 1512-4649;
- „Development of the Georgian Banking System in the Last 20 Years (1989-2009)“ – scientific-analytical journal Theoretical and Applied Economics. Bucharest. 2009. ISSN 1841-8678;
- „The Georgian Banking System’s in Post Crisis-Period“. International Auditing & Risk Management. Bucharest, Romania. Anual VI, Nr. 4(24), December 2011;
- „საქართველოს საბანკო სისტემის ლიკვიდობის, კაპიტალის და აქტივ-პასივების ხარისხის შესახებ პოსტკრიზისულ პერიოდში“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი. თბილისი. №3 (22). 2011 წ. ISSN 1512-4649.



## **სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და 10 ქვეთავისაგან, დასკვნებისა და წინადადებებისაგან; მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის სია 115 დასახელებით, დისერტაციის ტექსტში ჩართულია 20 გრაფიკი, 24 ცხრილი და 2 ნახაზი. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტი მოიცავს 204 გვერდს.

ნაშრომის სტრუქტურა:

<b>შესავალი</b>	<b>4</b>
<b>თავი 1. საქართველოს საბანკო სისტემისა და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლები:</b>	<b>10</b>
1.1. საქართველოს ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები	10
1.2. ფინანსური სისტემის ფუნქციები და მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირებისათვის	37
1.3. კომერციული ბანკების როლი ფინანსურ ინდუსტრიაში	56
1.4. საქართველოს ფინანსური სისტემის მარეგულირებელი ინსტიტუტების გენეზისი	67
<b>თავი 2. კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და შეფასება:</b>	<b>75</b>
2.1. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ზოგადი დახასიათება	75
2.2. კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობის ანალიზისა და შეფასების ბუღალტრული და ეკონომიკური მოდელები	112
2.3. კომერციული ბანკის ღირებულების შეფასების კრიტერიუმები და მნიშვნელობა	148
<b>თავი 3. ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი:</b>	<b>152</b>
3.1. საბერძნეთის ბანკების ისტორია	152
3.2. ქართული და ბერძნული ბანკების კონსოლიდირებული აქტივების, სესხებისა და დეპოზიტების ფინანსური ანალიზი (2008, 2009 და 2010 წლები)	157
3.3. ბანკების ერთიანი შედეგების 13 მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტის შედარებითი ანალიზი	160
<b>დასკვნები და წინადადებები</b>	<b>184</b>
<b>გრაფიკები ცხრილები და ნახაზები</b>	<b>193</b>



## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**შესავალში** განხილულია საკვლევი თემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი და ამოცანები, დახასიათებულია საკვლევი თემის შესწავლის მდგომარეობა და მისი შემდგომი კვლევის მიზანშეწონილობა, განხილულია კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. მითითებულია ჩატარებული კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და მეცნიერული სიახლეები. აღნიშნულია მათი პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ.

### თავი 1. საქართველოს საბანკო სისტემის და ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლები

საბანკო სისტემის განვითარების პროცესი საქართველოში შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ეტაპად: 1991-1993 წლები – შეიძლება გამოვყოთ გარდამავალ ეტაპად, ანუ ესაა რეფორმამდელი პერიოდი (საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი). 1994-1995 წლები – ახალი ეტაპი, რეფორმის პირველი ფაზა. 1996-1998 წლები – განვითარების შემდგომი ეტაპი, რეფორმის მეორე ფაზა.

1991 წელს მიღწეული დამოუკიდებლობის მიუხედავად საქართველო რუსული რუბლის ზონაში 1993 წლის პირველ აპრილამდე რჩებოდა, რასაც რუსეთის მთავრობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტად იყენებდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საქართველოში საბანკო სისტემა არ არსებობდა. მოშლილი იყო ფულად-საკრედიტო, საბუღალტრო-საანგარიშსწორებო და საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა.

1994 წლიდან საბანკო სისტემა მკვეთრად იცვლება. გარდამავალ პერიოდში საქართველოში არსებულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება, რაშიც აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

1995 წლის 28 ივნისს საქართველომ მიაღწია შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სისტემური ტრანსფორმაციის ტრანშიტ ეკონომიკური რეფორმის პროგრამის დაფინანსებაზე. ეს დაფინანსება ე.წ. „სტენდ-ბაის“ პროგრამით ხორციელდებოდა.

საგალუტო ფონდის მიერ გამოგზავნილმა მისიამ, საქართველოს მთავრობის მონაწილეობით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად შეიმუშავა მეთოდოლოგიურ და მეთოდურ ღონისძიებათა კომპლექსი. რეფორმის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო სფეროების გარდაქმნა, პრივატიზების დაჩქარება, ფასების ლიბერალიზაცია და სოციალური რეფორმა.

1996 წლიდან საქართველოში იწყება ეკონომიკური რეფორმების ახალი ეტაპი - ეროვნული ვალუტის შემოდებით, ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ. ინფლაციის დონემ დაიწია 13,5%-მდე. მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა მიაღწია 10%-ს; საგადასახადო შემოსავლებმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 10,6% შეადგინა;

საბანკო კანონმდებლობის დახვეწამ, ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალურმა სრულყოფამ და მისი საზედამხედველო ფუნქციების გააქტიურებამ ხელი შეუწყო საბანკო სექტორის სტაბილურ განვითარებას<sup>2</sup>.

90-იან წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოში დღეს ფუნქციონირებს ფინანსური სისტემა, რომელიც წარმოდგენილია როგორც ფასიანი ქაღალდების, ისე საბანკო სესხების ბაზრის სახით. თუმცა ფინანსური ბაზარი, რომლის მთავარი მონაწილეები არიან კომერციული ბანკები, უფრო განვითარებულია, ვიდრე არასაბანკო ფინანსური ბაზარი.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრები პოზიტიურ როლს თამაშობს ეკონომიკურ ზრდაში, ვინაიდან საფინანსო ბაზრები უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიების შესახებ უფრო სრული ინფორმაციის შეგროვებას და ასახავს მათ საბაზრო ფასებში. აქციათა ბაზარი, ასევე აუმჯობესებს კორპორატიულ კონტროლს, შთანთქმის მექანიზმების და კომპანიის საქმიანობის შედეგების მიხედვით მენეჯერების სტიმულირების გზით. „საბაზრო“ სისტემა კონკურენციის გაძლიერებით ქმნის მეტ სტიმულს ეკონომიკური განვითარებისათვის. გარდა ამისა, კორპორატიული კონტროლის სფეროში კონკურენციის გაძლიერებით, ინვესტიციების დაფინანსების ალტერნატიული საშუალებების შეთავაზებით, ფასიანი ქაღალდების ბაზრებს შეუძლიათ შეზღუდონ ბანკების გადაჭარბებული ძალაუფლება.

---

<sup>2</sup> იქვე, გვ. 134-142.

ნაშრომში დეტალურადაა მიმოხილული საქართველოში მოქმედი ფინანსური მომსახურების ინდუსტრია, რომელიც მოიცავს კომპანიების ფართო სპექტრს: კომერციული ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საფონდო ბირჟა, საბროკერო და სადილერო კომპანიები, რეგისტრატორები და დეპოზიტორები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევამ მოიცვა სადაზღვეო კომპანიებიც, რომლებიც 2012 წლის მარტის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო 15 ერთეულით. სადაზღვეო ორგანიზაციების დაარსების ისტორია 1990 წელთანაა დაკავშირებული და მათი ინტენსიური განვითარება იწყება 2006 წლიდან. მათ საქმიანობაში დომინირებს დაზღვევის ისეთი სახეები, როგორებიცაა: ქონების, სამედიცინო, სატრანსპორტო საშუალებათა, სიცოცხლის, პასუხისმგებლობის დაზღვევა.

**საქართველოს ეკონომიკაში, სადაც შეზღუდულად ფუნქციონირებს კაპიტალის ბაზარი, კომერციული ბანკები ძირითადი ფინანსური შუამავლის როლს ასრულებენ.**

კომერციული ბანკები მოქმედებენ საქართველოს კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საფუძველზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1996 წელს მიიღო. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ ოპერაციათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ საქართველოს ბანკებს. კერძოდ:

- ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;
- გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუნერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების) ყიდვა-გაყიდვა;

- დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციებისა და საკასო-საინკასაციო მომსახურება;
- ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);
- ე1) უპროცენტო საბანკო მომსახურება;
- ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;
- ზ) კლიენტების დავალებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;
- ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;
- ი1) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;
- ი2) ქონების იჯარით გაცემა;
- ი3) საგადახდო მომსახურება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება;

კ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება<sup>3</sup>.

კანონში შეტანილი ბოლო შესწორებებით გაფართოვდა საბანკო საქმიანობის ნებადართული ჩამონათვალი; კერძოდ, ბანკებს უფლება მიეცათ, განახორციელონ ისეთი საქმიანობა, როგორცაა ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქცია, ქონების იჯარით გაცემა, საგადახდო მომსახურება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციის შესრულება. ცხადია, ფუნქციების გაფართოება კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს, შექმნან ახალი საბანკო პროდუქტები და მოიპოვონ დამატებითი შემოსავლის წყაროები. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი შემოსავლები დამატებით რისკებთან იქნება დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება კომერციული ბანკებისათვის ქონების იჯარით გაცემის უფლების მიცემა, რაც, ფაქტობრივად, ლიზინგია. აღნიშნულმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკების ყურადღების გადატანა წმინდა საბანკო პროდუქტებიდან არაპროფილურ ბიზნესებზე, რაც გაზრდის რისკებს. გარდა აღნიშნულისა, ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს გადახრები ბანკების ანგარიშგებაში, რაც დაკავშირებული იქნება არარეგულარული მუხლების მნიშვნელობათა გაზრდასთან.

<sup>3</sup>„საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. თავი IV. საოპერაციო მოთხოვნები. მუხლი 20. საბანკო საქმიანობა. თბილისი. 2009 წ. გვ. 17-18.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასეთი რისკები გათვალისწინებულ იქნას მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან და შემდგომში პრუდენციული კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით დაიხვეწოს ანგარიშგების ფორმებისა და შიდა კონტროლის მექანიზმები.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს საბანკო სექტორის მნიშვნელობას ქვეყნის ფინანსური სისტემისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.

**ცხრილი 1.**

კომერციული ბანკების მაკრომაჩვენებლები						
	2006	2007	2008	2009	2010	2011
მთ. დეპოზიტი / მოსახლეობასთან	364	413	359	287	733	1 120
მოსახლეობა / ფილიალები	10 714	8 333	6 589	7 109	7 020	6 356
მთ. სესხები / მშპ-თან	19%	26%	29%	25%	27%	30%
მთ. დეპოზიტი / მშპ-თან	12%	11%	8%	7%	16%	21%

წყარო: „ საქართველოს ეროვნული ბანკის“ სტატისტიკური მონაცემები და საკუთარი გათვლები

ზემოაღნიშნული მონაცემები უჩვენებს, ერთი მხრივ, საბანკო სექტორის განვითარების სტაბილურ დინამიკას და, მეორე მხრივ, „ფინანსური სიღრმის“ მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ზემოაღნიშნული დასკვნა დასტურდება ასევე კვლევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჩართვის შემთხვევაში (იხ. ცხრილი 2)

**ცხრილი 2.**

კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გაერთიანებული ფინანსური მაჩვენებლები					
	2007	2008	2009	2010	2011
მთ. დეპოზიტი / მოსახლეობასთან	422	384	314	784	1 190
მოსახლეობა / მთ. ფილიალებთან	8 108	6 338	6 696	6 522	5 844
მთ. სესხები / მშპ-თან	26%	29%	26%	28%	31%
მთ. დეპოზიტი / მშპ-თან	11%	9%	8%	17%	22%

წყარო: „ საქართველოს ეროვნული ბანკის“ სტატისტიკური მონაცემები და საკუთარი გათვლები



ცხრილი 2 გვიჩვენებს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გაერთიანებულ ფინანსურ მონაცემებს, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ფინანსურ ინდუსტრიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უკვე მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი და ისინი სულ უფრო მეტ კონკურენციას უწევენ კომერციულ ბანკებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მისოები თითქმის ყველა საშუაშაველო ოპერაციას აწარმოებენ, რასაც ბანკები. ამიტომ, ჩვენი აზრით, კვლევის თვალსაზრისით, საკრედიტო ინსტიტუტების როლის განხილვისას საინტერესოა მისოების მონაცემების გათვალისწინებაც.

ფინანსურ ინდუსტრიაში გარკვეული ადგილი უჭირავს ასევე ისეთ საშუაშაველო საკრედიტო ორგანიზაციებს, როგორცაა საკრედიტო კავშირები. ისინი თავისი არსით ბანკის მსგავსი ორგანიზაციებია და აქვთ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია. მათი ისტორია საქართველოში 1995 წლიდან იწყება. ისინი იღებენ ანაბრებს თავისი წევრებისაგან და გასცემენ სესხებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირებს დამფუძნებლად ჰყავთ მხოლოდ ფიზიკური პირები. განსხვავება კიდევ ისაა, რომ საკრედიტო კავშირების შემთხვევაში მთელი მოგება ნაწილდება მათივე წევრებზე. კავშირების ძირითადი საქმიანობაა წევრების გაერთიანება და მათი ინტერესების დაცვა. მათი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყონ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

საკრედიტო კავშირების ძირითადი სეგმენტი, სადაც დაფინანსებას ახორციელებენ, არის აგროსექტორი და ტურიზმი, რომლებიც საკმაოდ რისკიანია, მაგრამ, ამავდროულად, შემოსავლიანიც<sup>4</sup>.

## თავი 2. კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და შეფასება

ამ თავში დეტალურადაა დახასიათებული კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ელემენტები, ასევე განხილულია ბაზელის შეთანხმება კაპიტალთან დაკავშირებით. როგორც პირველი, ასევე მეორე დონის კაპიტალი პირველად იქნა განმარტებული კაპიტალის შესახებ ბაზელის I-ის შეთანხმებაში,

<sup>4</sup>ბანკები და ფინანსები „თუ საბანკო სექტორში ანაბრზე წლიურ 10% სარგებელს ურიცხავენ, ჩვენ წლიურ 17%-ს ვარიცხავთ“<http://www.bfm.ge/banks/print:page,1,2449-sakredito-kavshiri.html>17 აპრილი. 2011.

ხოლო ბაზელის II-ის შეთანხმებაში განმარტებების რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა.

1988 წელს გამოქვეყნდა „ბაზელი I“ და 1992 წელს ძალაში შევიდა კანონის საფუძველზე, რომელიც მიიღეს „ათიანის ჯგუფის ქვეყნებმა“ 8%-იანი კაპიტალიზაციის კოეფიციენტის მოთხოვნით, „ბაზელი I“-ის მიზანი საერთაშორისო საბანკო სისტემის გამყარება და სტაბილურობის გაზრდა იყო. განსხვავებით „ბაზელი I“-ისგან, რომელიც შედგება ერთი ნაწილისაგან და, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებს მინიმალური კაპიტალის ოდენობაზე, შეთანხმება „ბაზელი II“ (გამოქვეყნდა 2004 წლის ივნისში) გამოიცა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომისიის მიერ (BCBS).

„ბაზელი I“-ისგან განსხვავებით, „ბაზელი II“-ის კაპიტალის ახალი მოთხოვნები არის უფრო მეტად მგრძობიარე პორტფელის რისკების მიმართ.

2007 წლიდან საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი მოელოდა ახალი რეგულირების დანერგვას დაახლოებით 100 ქვეყანაში, გარკვეული სატრანზიტო პერიოდის გათვალისწინებით. ამავე დროს, ბევრი განვითარებადი ქვეყნის საბანკო სექტორმაც გამოთქვა სურვილი, მათ ბანკებშიც მომხდარიყო კომიტეტის ახალი რეკომენდაციების ადაპტაცია. ერთ-ერთ ასეთ მოხალისე ქვეყანას წარმოადგენს საქართველო. საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლობამ 2008 წელს გამოთქვა სურვილი, უახლოეს მომავალში საქართველოშიც განხორციელდეს აღნიშნული პროცესი. მიუხედავად ახალი მოთხოვნების/რეკომენდაციების კომპლექსურობისა, ბანკებს აქვთ მრავალი მიზეზი, მისი გათვალისწინების სურვილი გამოთქვან. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ „ბაზელი II“ იქნება ხელშემწყობი ფინანსური და საოპერაციო რისკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთა არსებობაც დამახასიათებელია სწრაფად მზარდი საბანკო სექტორისათვის.

ასევე, განხილულია ბაზელის შეთანხმება III-ის კაპიტალის ადეკვატურობის განახლებული დებულებები, რომელიც გაიზიარა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა. განხილვის შედეგებიდან ირკვევა, რომ განახლებული მიდგომა უფრო მეტადაა მორგებული კომერციული ბანკების რისკის პროფილს. ბაზელი III-ის მიხედვით, მკაცრი ზედამხედველობა მოეთხოვება უფრო მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში ჩართულ კომერციულ ბანკებს.

„ბაზელ III-ის“ მიერ რეკომენდებული ლიკვიდობის მართვის ჩარჩო – ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტები (Liquidity Coverage Ratio – LCR) – ამჟამად

საქართველოში დანერგვის პროცესშია. ის ითვალისწინებს ბანკის ლიკვიდობასთან დაკავშირებულ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ვალდებულებების ვადიანობა, კონცენტრაცია (მათ შორის არარეზიდენტების ჭრილში), ლიკვიდური აქტივების ხარისხი, აქტივების ლიკვიდურად გარდაქმნის შესაძლებლობა, დეპოზიტების ვადაზე ადრე გატანის შესაძლებლობა და ა.შ.

**ცხრილი №-11 ბაზელი შეთანხმება III: ბაზელი შეთანხმება II-ის გაუმჯობესება**

	<b>ბაზელი II</b>		<b>ბაზელი III</b>
<b>საყრდენი-I</b>	მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა	<b>საყრდენი-I</b>	გაზრდილი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა და ლიკვიდურობის მოთხოვნა
<b>საყრდენი-II</b>	ზედამხედველობის პროცესი	<b>საყრდენი-II</b>	ზედამხედველობის გაუმჯობესების პროცესი
<b>საყრდენი-III</b>	გამქლავნება და საბაზრო დისციპლინა	<b>საყრდენი-III</b>	გამქლავნება და საბაზრო დისციპლინა

ბაზელი III-ის შეთანხმების ეფექტური განხორციელება მარეგულირებლებს, მომხმარებლებსა და აქციონერებს დაუმტკიცებს, რომ ბანკები წარმატებით უმკლავდებიან 2008 წლის გლობალურ საბანკო კრიზისს. მისი სწრაფი განხორციელება ასევე ხელს შეუწყობს ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც საშუალებას მისცემს მათ, ისარგებლონ მომავალი შესაძლებლობების უპირატესობით.

ამ თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებებს, რომელიც მჭიდრო კავშირშია ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ მენეჯმენტთან, რაც გულისხმობს ბანკის ქვედანაყოფების მართვას, მათ ურთიერთქმედებას საბანკო მოღვაწეობის სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ბანკის პერსონალის მართვას. ფინანსური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის პრობლემებთან ერთად კომერციულ ბანკში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური მენეჯმენტის უზრუნველყოფის საინფორმაციო და ლოგიკურ-ანალიტიკური ხასიათის პრობლემებს, აგრეთვე კომერციული ბანკის, როგორც სამეურნეო სუბიექტის მოღვაწეობის, მასში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების და საორგანიზაციო სტრუქტურების ოპტიმიზაციას.

კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მიზნები და ამოცანებია განსაზღვროს ოპტიმალური საორგანიზაციო სტრუქტურების და ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სისტემების მოქმედების რეჟიმის მოწყობის მეთოდოლოგიური საფუძვლები და რაციონალური მოთხოვნები, რომლებიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს როგორც კომერციული ბანკის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებას, აგრეთვე მის მდგრადობას მოცემული პარამეტრების პირობებში – ბანკის ფინანსური მოღვაწეობის დაგეგმვა, ფულადი სახსრების მოზიდვისა და განთავსების პროცესების მართვა. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ამოცანებში არ შედის საბანკო მოღვაწეობის შემდეგი მიმართულებები:

- ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება;
- სავალუტო რეგულირება;
- საბანკო სამართალი;
- ეკონომიკური ნორმატივების მართვა, მათ შორის სავალდებულო რეზერვების და სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება.

ეს იმით არის განპირობებული, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შემოღებულ დირექტიულ ნორმებს და ისინი არ ექვემდებარება ბანკის შიდა და გარე რეზერვების გამოყენებით მართვას. ფინანსური მენეჯმენტის მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია განსაზღვროს კომერციული ბანკის ქვედანაყოფების ძირითადი ფუნქციები. ამ ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. სტრატეგიული დაგეგმვა – პერსპექტიული ფინანსური ამოცანების განსაზღვრა და ეფექტური მოქმედების პროგრამის შემუშავება, რომლებიც მიმართულია ამ ამოცანების შესრულებაზე. ამოცანას ამ შემთხვევაში წარმოადგენს გარკვეულ პირობებში მოღვაწეობის მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ამ პირობების გარდაქმნის გზით დამტკიცებული პროცედურის თანახმად.
2. მოდელირება – მეთოდების, ტექნოლოგიების და ინსტრუმენტალური საშუალებების ერთობლიობათა გამოყენება ინფორმაციის მოსამზადებლად, რომელსაც ხელეწიფება დაარწმუნოს უმაღლესი მენეჯმენტი წარმოდგენილი პროექტების ეფექტურობასა და შეთავაზებული მოქმედების მიზანშეწონილობაში, აგრეთვე მართვის ობიექტის მიმდინარე და საპროგნოზო მდგომარეობის შეფასებაში. მოდელი-მატერიალური ობიექტი, რომელიც

წარმოადგენს განსახილველი ობიექტის სტრუქტურას ან ფუნქციონირების იმიტაციას.

3. ოპერატიული დაგეგმვა – მიმდინარე ფინანსური ამოცანების გადაწყვეტის რაციონალური მეთოდების განსაზღვრა ბანკის პერსპექტიული ფინანსური მიზნების მიღწევის აუცილებლობის გათვალისწინებით.
4. მონიტორინგი – მართვის ობიექტის და გარემო პირობების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეკრება.
5. დიაგნოსტიკა – ობიექტის დამახასიათებელი პარამეტრების მიმდინარე მნიშვნელობათა შესაბამისობის შეფასება.
6. მართვის მიზანი – მართვის ობიექტის საიმედოობის უზრუნველყოფა.

აქედან გამომდინარეობს კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის საგნობრივი არე – საბანკო პროდუქტების შექმნა. ფინანსური მენეჯმენტის საგნობრივი არის შემდგომი იდენტიფიკაციის მიზნით განხილულია ცნება „საბანკო ოპერაცია“ და მისი კავშირი ცნებებთან „საბანკო პროდუქტი“ და „საბანკო მომსახურება“.<sup>5</sup>

საბანკო პროდუქტი – ბანკის კლიენტურაზე მომსახურების გაწევის საშუალება; მომსახურების გაწევის პროცესში ბანკის თანამშრომელთა ურთიერთობის რეგლამენტი ბანკის კლიენტებთან, ანუ ურთიერთდაკავშირებულ ორგანიზაციულ, საინფორმაციო, ფინანსურ და იურიდიულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია კლიენტის მომსახურების ერთიანი ტექნოლოგიით.

საბანკო მომსახურება – ბანკის კლიენტის მოთხოვნათა (საკრედიტო, საკასო, საგადასახადო, საგარანტიო, ფასიანი ქაღალდების და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის და სხვა) დაკმაყოფილების ფორმა.

საბანკო პროდუქტების ხაზი – ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული მომსახურებათა სპექტრი.

რაც შეეხება ფინანსური მართვის მეთოდებს და ინსტრუმენტებს, ფინანსური მართვის პროცესში მისი სუბიექტები ახდენენ სისტემურ ზემოქმედებას ობიექტების მდგომარეობაზე, იყენებენ რა შემდეგ ინსტრუმენტებს:

- მმართველობით აღრიცხვას;

---

1. Балабанов И.Т. Основы финансового менеджмента: Учеб. пособие. - М.: Финансы и статистика, 2000.

2.

- პერსპექტიულ დაგეგმვას;
- ოპერატიულ დაგეგმვას;
- რისკების მართვას.

ფინანსური დაგეგმვის ყველა ინსტრუმენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მმართველობით აღრიცხვას, რადგან მასში დაგროვილი პირველადი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებებისა და პროგნოზების აგებისთვის გამოიყენება ფინანსური აღრიცხვის ყველა დანარჩენ პროცესში.

გარდა ამისა, მმართველობითი აღრიცხვა განსაზღვრავს მმართველობითი აღრიცხვის ანალიტიკური გაზომვის სისტემების იერარქიულ სტრუქტურას, რომლის ფარგლებშიც იგება ყველა დაგეგმილი და ოპერატიული ანგარიშგება და ასევე რისკების ანგარიშგებები.

ახლანდელ დროში ხშირად გამოყენებულ ცნებას - “ფინანსური მენეჯმენტს”- აქვს მრავალრიცხოვანი განმარტებები. მაგრამ მთლიანობაში მკვლევარები ერთ აზრამდე მიდიან, რომ ფინანსური მენეჯმენტი არის ფულადი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ურთიერთობების მართვა.

კომერციული ბანკი, იწყებს რა თავის საქმიანობას ფინანსური ბაზრის განსაზღვრულ სეგმენტში, ან იღებს რა გადაწყვეტილებას შემდგომი გაფართოების შესახებ, დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ყველა დანახარჯი ანაზღაურდება და მოიტანს მოგებას. დანახარჯებისა და შედეგების თანაგაზომვა ბანკში ფინანსური მენეჯმენტის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს. მისი გათვალისწინების გარეშე შეიძლება დაშვებული იქნას გამოუსწორებელი შეცდომები ბანკის ეკონომიკური პოლიტიკის არჩევის, მნიშვნელოვანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს, საბანკო საქმიანობის სახის განსაზღვრისა და აქტიური და პასიური ოპერაციების ოპტიმალური მოცულობებისა და სტრუქტურის განსაზღვრისას და ასევე მომსახურების ტარიფების დადგენისას, რაც წარმოადგენს ბანკისთვის იმიჯის შექმნის მნიშვნელოვან ფაქტორს.

წინამდებარე თავში საკმაოდ დიდი მოცულობის ემპირიული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების, ლიკვიდურობის და რენტაბელობის ტენდენციები. კვლევისას გამოყენებული იქნა ბუღალტრული და ეკონომიკური მონაცემები, ასევე, ალბათობის

თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები: დისპერსია და სტანდარტული გადახრა.

ცალკეული ბანკების საქმიანობა შეფასდა ბუღალტრული მოდელების საფუძველზე. კერძოდ, ROA (წმინდა მოგების შეფარდება მთლიან საშუალო აქტივებთან) და ROE (წმინდა მოგების შეფარდება საშუალო საბანკო კაპიტალთან) არის ბუღალტრული მოდელები, სადაც ROA მაჩვენებელი ბანკების შემთხვევაში დამოკიდებულია კრედიტების ხარისხზე. თანდართულ ცხრილებში მოცემულია საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების და კაპიტალის უკუგების მაჩვენებლები (ROA) 2010 და 2011 წლების მიხედვით, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ბანკები დაჯგუფდა “ხუთი მსხვილი ბანკი”, ხუთი საშუალო ბანკი” და “ყველა ბანკი” მოდელით.

ცალკე ცხრილებში მოცემულია, ასევე, იმავე პრინციპით ROE კოეფიციენტის დეკომპოზიციის ანალიზი 2002-2012 წლების პერიოდისათვის. კვლევამ მოიცვა საოპერაციო მოგების (AU), მომგებიანობის კოეფიციენტის (PM) და კაპიტალის მულტიპლიკატორის (EM) მნიშვნელობების დეტალური განხილვა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ განსახილველი პერიოდისთვის საოპერაციო მოგება (AU) მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. ხოლო მომგებიანობის კოეფიციენტი (PM) 2003 წლიდან განიცდის სერიოზულ ცვლილებებს. მოცემული ინფორმაციით 2010-2011 წლები საბანკო სისტემისთვის შედარებით სატაბილური გამოდგა. 2010 წელს ბანკების საოპერაციო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 13%-ით გაიზარდა და 1,553 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 139%-ით და 156,270 ათასი ლარი შეადგინა და, შესაბამისად, გამოიწვია მომგებიანობის კოეფიციენტის - PM-ის მნიშვნელობის ზრდა (10,06%).

კვლევის შემდგომ ეტაპზე გაანალიზდა საქართველოს ბანკების 2006 და 2011 წლების ფინანსური მაჩვენებლები: წმინდა არაპროცენტული შემოსავლები ერთ ლარ აქტივებთან მიმართებაში. ცხრილებში მოცემული ინფორმაცია ასახავს ცალკეული საბანკო ჯგუფების ფინანსურ ინფორმაციას არაპროცენტული შემოსავლების, არაპროცენტული ხარჯების და ამ მონაცემებიდან გამომდინარე წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის სიდიდეს ერთ ლარ აქტივთან დამოკიდებულებაში (“საბანკო ტვირთი”). კვლევიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მენეჯერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ როგორც შემოსავლების მომტანი აქტივების მართვაზე, ასევე ხარჯების კონტროლზე. კერძოდ, ყურადღებით უნდა

განიხილონ საკომისიოს მიღების სქემა, შეთავაზებული პროდუქტების პაკეტი, ხელფასები და დახმარებები და სხვა ხარჯების სტრუქტურა.

**ნაშრომში გაანალიზებულია ROA-ს მნიშვნელობები და მათი ცვლილებები საქართველოს ბანკების მაგალითზე 2005-2011 წლებში, სადაც მოყვანილია დაწვრილებითი ინფორმაცია სტანდარტულ გადახრაზე და ვარიაციის კოეფიციენტზე, რომელიც გამოიყენება რისკის განსზაღვრისათვის.**

აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი სტანდარტული გადახრის და ვარიაციის კოეფიციენტის გამოყენებით ნათლად ადასტურებს, რომ საბანკო სისტემისათვის სერიოზული საფრთხის შემცველია „საშუალო ბანკების“ ჯგუფი.

### **თავი 3. ქართული და ბერძნული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლების შედარებითი ანალიზი**

საბერძნეთის საბანკო სისტემის მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ახალი ათასწლეულის მიჯნაზე საბერძნეთის საბანკო სექტორში სამი მამოძრავებელი ძალა შეინიშნებოდა: სისტემის წინ წამოწევა, კონკურენცია და პრივატიზაცია. სისტემის წინ წამოწევა გულისხმობს, რომ საბანკო საქმესა და სხვა დარგებში საბერძნეთი ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს თავდაპირველად ჩამოუვარდებოდა, მაგალითად, 1997 წელს ქვეყანაში 100 000 მოსახლეზე მხოლოდ 24 ფილიალი მოდიოდა, რაც ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უდაბლესია. მაგალითად:

- საბანკო საქმის თვალსაზრისით ისეთი განვითარებული ქვეყნის მაჩვენებელთან შედარებით, როგორცაა ბელგია, საბერძნეთში საბანკო ფილიალების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1/3-ით ნაკლები იყო;
- 100 000 მოსახლეზე სულ 15 ბანკომატი მოდიოდა, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 1/3-ს, ხოლო ესპანეთთან შედარებით 1/6-ს შეადგენდა.

1990-იანი წლების შუა ხანებში ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებთან ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებისა და ეკონომიკური განვითარების ერთმანეთთან დაახლოებასთან ერთად მიმდინარეობდა საბანკო მომსახურების კონვერგენციაც. ის გარემოება, თუ როგორ გაუმკლავდებოდნენ ამგვარ ტრანსფორმაციას მოქმედი და ახალბედა მოთამაშეები, განსაზღვრავდა საბერძნეთის საბანკო სექტორის განვითარებას მომავალში.

ჩვეულებრივ, სწრაფად მზარდი ბაზარი მომგებიანობის კარგ პერსპექტივას



ქმნის, მაგრამ საბერძნეთის საბანკო სექტორის შემთხვევაში ეს შესაძლოა ასე არ მომხდარიყო, ვინაიდან ბაზრის ზრდასთან ერთად კონკურენცია მძაფრდებოდა. აიწია საპროცენტო განაკვეთების ზღვრულმა მაჩვენებელმა, შესუსტდა შეზღუდვები იმ ფინანსურ საქმიანობაზე, რომლის წარმოებაც შეუძლიათ ბანკებსა და სხვა ფინანსურ დაწესებულებებს. ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში საბერძნეთი, რომელიც დასავლურ სამყაროში, ფინანსური საქმიანობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე შეზღუდული ქვეყანა იყო, დიდწილად დარეგულირებულ ქვეყანად გადაიქცა<sup>6</sup>.

ევროინტეგრაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია. ერთიანმა ევროპულმა აქტმა და პირველმა და მეორე საბანკო დირექტივებმა გააიოლა ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნების ბანკების მიერ საბერძნეთში ბიზნესის წარმოება. ამის მაგალითებია Barclays, ABN-AMRO Bank, Credit Commercial de France, და Midland Bank plc – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ამჟამად ათენში მოქმედებს. სამომხმარებლო კრედიტები, იპოთეკური სესხების გაცემა, ვაჭრობის დაფინანსება, ლიზინგი, საკრედიტო და სამოგზაურო ბარათები, საბანკო ტრატები, ვაჭრობა საკუთარი ან მომხმარებელთა სახსრებით, მონაწილეობა აქციების გამოშვებაში, პორტფელის მართვა და სამეურვეო მომსახურება – ყოველივე ეს შეთანხმებულად ხდება<sup>7</sup>.

საბერძნეთის ევროკავშირში გაწევრიანებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდას და ხელფასების ზრდას. ევროსა და ევროინტეგრაციის დანერგვამ გაამძაფრა კონკურენცია ბანკებს შორის. სახელმწიფო ბანკების პრივატიზაციამ კიდევ უფრო გააძლიერა საბერძნეთის საბანკო სექტორი. საბანკო სექტორის რესტრუქტურისაცია, ძირითადად, განხორციელდა პრივატიზაციითა და კომპანიების შერწყმა-შესყიდვით<sup>8</sup>.

ქართული და ბერძნული ბანკების კრებსითი მაჩვენებლების ანალიზი უჩვენებს, რომ ბერძნულ ბანკებს უპირატესობა აქვთ ეფექტურობის თვალსაზრისით, რასაც ადასტურებს ხარჯების თანაფარდობა შემოსავლებთან, მთლიანი აქტივების და სესხების თანაფარდობა თანამშრომელთა რიცხვთან.

ბერძნული ბანკების უპირატესობა ასევე გამოიხატა კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის შედარებით ანალიზში, რომელიც მიუთითებს ბანკების ფინანსურ

<sup>6</sup>Eichengreen B. and Gibson H. D. (2001) "Greek Banking at the Dawn of the New Millennium" in Bryant R. C., Garganas N.C. and Tavlas G.S. (2001), "Greece's Economic Performance and Prospects", Bank of Greece and the Brookings Institution, p. 545

<sup>7</sup>იქვე, გვ. 546.

<sup>8</sup>MYLONIDIS N. \* AND KELNIKOLA I. "MERGING ACTIVITY IN THE GREEK BANKING SYSTEM: A FINANCIAL ACCOUNTING PERSPECTIVE", University of Ioannina. ASECU South Eastern Europe Journal of Economics 1 (2005) 12-144 SEEJE p. 122.

სიძლიერეზე, აგრეთვე ფინანსური სისტემის უსაფრთხოებასა და სიჯანსაღეზე. შედარებით ხანგრძლივი ისტორიიდან გამომდინარე ცხადია, რომ ბერძნული ბანკები სიმწიფის უფრო მაღალ დონეზე არიან, ვიდრე ქართული ბანკები.

## დასკვნა

1. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საბანკო სისტემა, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები. ვარდების რევოლუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს ეკონომიკური ლანდშაფტი. ფინანსური სექტორის განვითარებამ გაამძაფრა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ინტერესი. ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ლიბერალურმა რეფორმებმა კი გამოიწვია უცხოური კაპიტალის დიდი ინტერესი, პირველ რიგში, ფინანსური სექტორის მიმართ. ქართული საბანკო კაპიტალის 80 პროცენტზე მეტი (ბოლო მონაცემებით, უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განადგებულ საწესდებო კაპიტალში 81.7% შეადგინა) დღეს უცხოელ ინვესტორებს ეკუთვნის, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ახალი პროდუქტებისა და საბანკო ტექნოლოგიების დანერგვა, კონკურენტული გარემოს სრულყოფა, ასევე რეგულირების მექანიზმების დახვეწა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციების მქონე ბანკების შემოსვლას ძლიერი გავლენა აქვს ადგილობრივ ბანკებზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს თანამედროვე პროდუქტების შემოტანას. საბანკო სისტემის მთავარი დამხმარე დღეს არის ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების (გასაკუთრებით, ინფორმაციულის) განვითარება. სწორედ ახალ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით კომერციული ბანკები ქმნიან ახალ საბანკო პროდუქტებს და სთავაზობენ მათ ბაზარს. შედეგები იმას მოწმობს, რომ უცხოური ბანკების შემოსვლა ხელს უწყობს კონკურენციის გამძაფრებას. კონკურენციის გაძლიერება, თავის მხრივ, აიძულებს კომერციულ ბანკებს დიდი ყურადღება დაუთმონ მომსახურების ასორტიმენტის გაფართოებას, უნიკალური მომსახურების ჩამოყალიბებას, მათი მომგებიანობის უზრუნველყოფას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისკენ ისწრაფვიან და საკუთარ ბიზნესში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას ცდილობენ. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გატარებული ღონისძიებები მომავალში კონკურენტულ პირობებში მათი არსებობის გარანტიას არ იძლევა,

თუ ბანკები არ მოერგებიან არა მარტო მიმდინარე, არამედ მაკროეკონომიკური სიტუაციის საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ცვლილებებსაც.

2. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს საბანკო სისტემა იზრდებოდა მაღალი ტემპებით, რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო საკრედიტო და სხვა თანამდგომი რისკებისადმი ლიბერალური მიდგომით და მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ნაკლები რეგულაციით, რამაც, საბოლოო ჯამში, კომერციული ბანკები მიიყვანა არაჯანსაღი აქტივების შექენამდე და, შესაბამისად, აქტივებისა და კაპიტალის ხარისხის გაუარესებამდე. კრიზისულმა მოვლენებმა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა იურიდიული და ფიზიკური პირების შემოსავლებზე, რამაც, ერთი მხრივ, შეაფერხა კრედიტების გაცემა და, მეორე მხრივ კი, გაზარდა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ბანკების უმეტესი ნაწილი დადგა ლიკვიდობის უმწვავესი პრობლემის წინაშე<sup>9</sup>. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2008 წლის ივლისში ფიზიკური პირების სესხები შემცირდა 100 მლნ ლარით; რაც შეეხება დეპოზიტებს, მათი კლება 2008 წლის მაისიდან დაიწყო. ყოველივე აღნიშნულმა გამოიწვია ბალანსის რღვევა მოზიდულ რესურსებსა და სესხებს შორის (გეპ-ი). მსესხებლების რიცხვმა დეპოზიტორებს ორჯერ გადაამეტა. ფულზე მაღალი მოთხოვნის გამო ბანკები ლიკვიდურობის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ, რამაც აიძულა ისინი გაეზარდათ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს საბანკო სისტემამ მაინც შეინარჩუნა სტაბილურობა და მოახერხა დიდი დანაკარგებისა და სერიოზული რღვევების გარეშე კრიზისული პერიოდის გადალახვა. კერძოდ: თუ 2009 წელს საბანკო სისტემა გავიდა ზარალზე, რომელმაც შეადგინა 65 მლნ ლარი, უკვე 2010 წელს საბანკო სისტემის მოგებამ შეადგინა 156.3 მლნ ლარი, ხოლო 2011 წელს საბანკო სისტემის მოგებამ 323 მლნ ლარს მიაღწია, საბანკო სექტორის აქტივები 12 მლრდ ლარს მიუახლოვდა და საქართველოში მოქმედი 19 ბანკიდან 16 გავიდა მოგებაზე.
3. მართალია, ფინანსური მომსახურების ინდუსტრია საქართველოში მოიცავს კომპანიების ფართო სპექტრს: კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საკრედიტო კავშირები და მიკროსაფინანსო

<sup>9</sup>Kunchulia P. and TuTberidze G. The Georgian Banking System's in Post Crisis-Period. International Auditing & Risk Management p. 115-125 Anul VI, Nr. 4(24), Bucharest, Romania, December 2011.

ორგანიზაციები, საფონდო ბირჟა, საბროკერო და სადილერო კომპანიები, რეგისტრატორები და დეპოზიტორები, მაგრამ ბოლო პერიოდის ფინანსური მონაცემებით დინამიკური განვითარებით გამოირჩევა საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორი, ხოლო რაც შეეხება ფინანსური ბაზრის დანარჩენ მონაწილეებს, მათი მაჩვენებლები მოკრძალებულად გამოიყურება. მაგალითად, ცენტრალურ დეპოზიტარში 2012 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით დეპონირებული იყო 17,4 მილიონი ფასიანი ქაღალდი, რაც ფულად გამოსახულებაში 22,6 მილიონი ლარი იყო. აქედან ფულადი ტრანზაქციების 92% და საერთო თანხის 99% - განხორციელდა სს "საქართველოს ბანკის" მონაწილეობით. ამასთან, 2012 წლის განმავლობაში ცენტრალურ დეპოზიტარში გაიხსნა 121 ანგარიში. ამ მონაცემებიდან გამომდინარე გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ცენტრალურმა დეპოზიტარმა საფინანსო წელი დახურა ზარალით. მოყვანილი მონაცემები მხოლოდ იმის დასტურია, რომ კომერციული ბანკების და მისოების გარდა ფინანსური სისტემის სხვა მდგენელები ძალიან მოკრძალებულად გამოიყურებიან, და ამაში თავისი წვლილი შეიტანა ბოლო პერიოდში ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმაც.

4. ბოლო პერიოდში საბანკო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით გაფართოვდა საბანკო საქმიანობის ნებადართული ჩამონათვალი, კერძოდ, ბანკებს უფლება მიეცათ აწარმოონ ისეთი საქმიანობა, როგორცაა:

- ე<sup>1</sup>, „უპროცენტო საბანკო მომსახურება“
- ი<sup>1</sup>, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა
- ი<sup>2</sup>, „ქონების იჯარით გაცემა“
- ი<sup>3</sup>, „საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება“

ამ ცვლილებებმა, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად შეცვალა კონკურენტული გარემო ფინანსურ სექტორში. კერძოდ, ბანკებს მიეცათ უფლება განახორციელონ ისეთი საქმიანობა, როგორცაა მაგალითად, ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქცია. ამ ფუნქციას აქამდე ასრულებდა კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენდა სააქციო საზოგადოებას. მას ამ სფეროში მოულოდნელად გამოუჩნდა ფაქტიურად 19 კონკურენტი, რომლებიც

ამ საქმიანობის განსახორციელებლად არ საჭიროებენ დამატებით ნებართვას და ხარჯებს.

**ზემოაღნიშნული** ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც სახიფათოდ გვეჩვენება, ესაა ბანკებისათვის „ქონების იჯარით გაცემის“ უფლების მიცემა. აღნიშნული გამოიწვევს ჯერ ერთი, საბანკო აქტივების ხარისხის გაუარესებას და მეორე - გააუარესებს საბანკო ანგარიშგების ხარისხს. ამ უკანასკნელთან მიმართებით ყურადღება უნდა მიექცეს ორ ასპექტს:

- წმინდა ბუღალტრული – ბანკებს შეეძლება ბუღალტრული მანიპულაციებით გაზარდონ წმინდა აქტივის მოცულობა;
- ფინანსური – დამახინჯებული ბუღალტრული ანგარიშგება ვერ იქნება კარგი საფუძველი გადაწყვეტილებების მისაღებად ინვესტირებაზე.

აღნიშნულმა და მსგავსმა ნაბიჯებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკების ყურადღების გადატანა წმინდა საბანკო პროდუქტებიდან არაპროფილურ ბიზნესებზე, რაც გაზრდის რისკებს.

გარდა ამისა, ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს გადახრები ბანკების ანგარიშგებაში, რაც დაკავშირებული იქნება არარეგულარული მუხლების წონის გაზრდასთან.

ისეთი მაკრომაჩვენებლების ანალიზი, როგორებიცაა: მთლიანი დეპოზიტების შეფარდება ქვეყნის მოსახლეობასთან, ანუ ერთ სულ მოსახლეზე დეპოზიტების წილი, ასევე საკრედიტო ინსტიტუტების ფილიალების, სერვის ცენტრებისა და მოსახლეობის თანაფარდობა, დეპოზიტებისა და კრედიტების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. ჩვენი აზრით, ეს არის ქართული საბანკო სექტორის დინამიკური განვითარების მნიშვნელოვანი დასტური (იხ. ცხრილი 1).

5. 2002-2012 წლებში ისეთი მაჩვენებლის დინამიკა, როგორიცაა ლევერიჯის წარმოებული მაჩვენებელი (EM), საოპერაციო მოგება (AU) და მომგებიანობის კოეფიციენტი (PM) გვიჩვენებს, რომ საბანკო აქტივებთან მიმართებით კაპიტალის წილი კლებულობს, ასევე კლებულობს საერთო შემოსავლების წილი საშუალო აქტივებთან მიმართებით, მაგრამ ამ ორ მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით მაღალი ტემპით კლებულობს წმინდა მოგების წილი საერთო შემოსავლებში. აღნიშნული კი მიუთითებს კომერციული ბანკების მხრიდან მოგების გამომუშავების მაჩვენებლის მაღალ ცვალებადობაზე

(მოსალოდნელი შემოსავლის მაჩვენებლის დისპერსია და საშუალო სტანდარტული გადახრა მადალია), რაც შემოსავლების სტრუქტურის დაბალი ხარისხითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ, აუცილებელია კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯერების მხრიდან შემოსავლების სტრუქტურის დეტალური ანალიზი. მათგან არამდგრადი და ერთჯერადი მუხლების გამორიცხვა და ისეთი ღონისძიებების შემუშავება, აქტივ-პასივების მართვის, ახალი პროდუქტების შემუშავების, წინ წაწევის და სხვა მიმართულებით, რომლებიც გააუმჯობესებდა ამ სტრუქტურას.

6. “საბანკო ტვირთის” მაჩვენებელი უფრო მადალია „მსხვილი ბანკების” ჯგუფში, ვიდრე „საშუალო ბანკების“ და მთლიანად საბანკო სისტემასთან (ყველა ბანკის“) მიმართებით, რაც, საგარაუდოდ, მსხვილ ბანკებში პერსონალის და ადმინისტრაციული ხარჯების მაღალ დონეს უკავშირდება, მაგრამ ბოლო პერიოდში შეინიშნება ტენდენცია ამ სექტორში “საბანკო ტვირთის” შემცირებისა, რაც ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების უდავო მაჩვენებელია, რასაც ვერ ვიტყვით საშუალო და ყველა ბანკის მაჩვენებლებზე. მართალია, აქ ეს მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე მსხვილი ბანკების ჯგუფში, მაგრამ მას გააჩნია ზრდის ტენდენცია.
7. განსაკუთრებულ რისკ-ჯგუფს საბანკო სისტემაში ქმნიან ე.წ. „საშუალო ბანკების“ ჯგუფი. ვინაიდან ამ ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლების ნეგატიურობის ტენდენცია იზრდება. ამ ტენდენციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი მაჩვენებელი: „საბანკო ტვირთი“ და „აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი“.
8. აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი სტანდარტული გადახრის და ვარიაციის კოეფიციენტის გამოყენებით ნათლად ადასტურებს, რომ საბანკო სისტემისათვის სერიოზული საფრთხის შემცველია „საშუალო ბანკების“ ჯგუფი.
9. მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე მკვეთრად გაუარესდა საბერძნეთის ფინანსური მდგომარეობა. ასევე, მსოფლიო კრიზისმა გამოააშკარავა საბანკო სისტემაში არსებული უხარისხო აქტივები, რამაც გამოიწვია საბერძნეთის ბანკების როგორც ლიკვიდურობის, ასევე მომგებიანობის ზრდის ტემპის შენელება.

**ქართული და ბერძნული ბანკების** ფინანსური მდგომარეობის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოცულობის და ოპერაციების თვალსაზრისით ამ ორი

საბანკო სისტემის შედარება მეტად რთულია, მაგრამ როგორც ანალიზმა აჩვენა, ტენდენციები ორივეგან თითქმის იდენტურია. ქართული და ბერძნული ბანკების შედარებითმა კვლევამ ვერ მოიცვა ისეთი მთავარი საკითხი, როგორცაა საბაზრო კაპიტალიზაცია, ვინაიდან ქართული ბანკების უმეტესობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებს, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა („საქართველოს ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“). გარდა ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ განუვითარებელია მეორადი ბაზარი, რაც ამცირებს ფინანსური ინდუსტრიის როგორც ფიზიკურ საზღვრებს, ასევე ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების, განსაკუთრებით დერივატივების გავრცელებას და გამოყენებას.

თუმცა ამ მოვლენას აქვს მეორე მხარეც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ წარმოებული პროდუქტების სიმცირე უფრო გამჭვირვალეს ხდის საბანკო ბიზნესს, ვინაიდან ტრანსპარენტულობის მთავარი პრობლემა სწორედ ბანკების გარებალანსურ ოპერაციებში მდგომარეობს.

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ტრანსფორმაციამ და გატარებულმა რეფორმებმა საქართველოს საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის იმ ძირითად ელემენტად ჩამოყალიბდა, რომელიც სტაბილურობისა და პროგრესის მყარ გარანტიას ქმნის მთელ ეკონომიკურ სისტემაში.

### რეკომენდაციები

1. ბოლო პერიოდში საბანკო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება საბანკო ანგარიშგების ხარისხის ამაღლების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ წმინდა აქტივის გამოანგარიშების სრულყოფას და ანგარიშგებაში არარეგულარული მუხლების არსებობის გათვალისწინებას. ცნობილია, რომ ინფორმაციის ხარისხი მაღლა იწევს, როდესაც იგი თავისუფალია გადახრებისგან და ექსტრაორდინალური ზემოქმედებისგან. ექსტრაორდინალური მოვლენები განპირობებულია არა მხოლოდ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, არამედ კონკრეტული საბანკო ინსტიტუტის პოლიტიკით და შეიძლება მოიცავდეს სხვა კომპანიების

შექნას და/ან მასთან შერწყმას, აქტივების ჩამოწერას და მსგავს ერთჯერად ქმედებებს, რაც თავისთავად აისახება ფინანსურ სურათზე.

2. განხორციელებული კვლევის შედეგები მიუთითებს კომერციული ბანკების მხრიდან მოგების გამომუშავების მაღალ ცვალებადობას (მოგების დისპერსია და საშუალო სტანდარტული გადახრა მაღალია), რაც ჯამში შემოსავლების სტრუქტურის დაბალი ხარისხითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ, აუცილებელია კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯერების მხრიდან შემოსავლების სტრუქტურის დეტალური ანალიზი. მათგან არამდგრადი და ერთჯერადი მუხლების გამორიცხვა და ისეთი ღონისძიებების შემუშავება, აქტივ-პასივების მართვის, ახალი პროდუქტების შემუშავებისა და წინ წაწევის მიმართულებით, რომლებიც გააუმჯობესებდა ამ სტრუქტურას.
3. კვლევამ აჩვენა, რომ “საბანკო ტვირთის” მაჩვენებელი უფრო მაღალია „მსხვილი” ბანკების ჯგუფში, ვიდრე „საშუალო ბანკების“ და „ყველა ბანკის“ მიმართებით. ჩვენი აზრით, მენეჯერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ როგორც შემოსავლების სტრუქტურაზე, ასევე ხარჯების კონტროლზე. ყურადღებით უნდა მოეკიდონ საკომისიოს მიღების სქემას, შეთავაზებული პროდუქტების პაკეტს, ხელფასებსა და „სხვა ხარჯების“ შემადგენლობას.
4. აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი სტანდარტული გადახრის და ვარიაციის კოეფიციენტის გამოყენებით ნათლად ადასტურებს, რომ საბანკო სისტემისათვის სერიოზული საფრთხის შემცველია „საშუალო ბანკების“ ჯგუფი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მარეგულირებელ ორგანოებს მართებთ სპეციფიკური პრუდენციული მოთხოვნების შემუშავება სწორედ ამ ჯგუფში შემავალი ბანკების მიმართ. ჩვენი აზრით, უნდა გადაისინჯოს ის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება რისკის მიხედვით აქტივების შეწონვას, კაპიტალის ადეკვატურობასთან პირდაპირ კავშირში მყოფ აქტივების ხარისხის განმსაზღვრელ ნორმებს.